#1 ადგილი ოფიციალური დოკუმენტების გაცემის მიმართულებით

#2 ადგილი სახელმწიფო სერვისების მიწოდების ეფექტურობის მიმართულებით

მომხმარებლის **92%-ის** კმაყოფილება ოფიციალური დოკუმენტების გაცემის პროცედურების მიმართულებით

წყარო: "განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების კვლევა", EBRD, 2011

2 405 405
info@psh.gov.ge
www.psh.gov.ge
www.facebook.com/publicservicehall

ყველაფერი ერთ სივრცეში

ნოტარიუსთა არქივი

იუსტიციის სახლი

ნოტარიუსთა პალატა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივში ინახება უფლებამოსილებაშეჩერებული ან უფლებამოსილება-შეწყვეტილი ნოტარიუსების მიერ ნაწარმოები სანოტარო დოკუმენტაცია. შესაბამისად, ნოტარიუსთაპალატის არქივიდან, გაიცემა ამ დოკუმენტების დამოწმებულიასლები და/ან მათ შესახებ ინფორმაცია.

რა შემთხვევაში შეიძლება დამჭირდეს აღნიშნული დოკუმენტაცია?

უფლებამოსილება შეჩერებული ან უფლებამოსილება შეწყვეტილინოტარიუსების მიერ ნაწარმოები სანოტარო დოკუმენტის დამოწმებული ასლი შეიძლება დაგჭირდეთ ბიზნესის ან ქონების რეგისტრაციისას, ნოტარიუსთან, სასამართლოში ან თვითმართველობის ორგანოებში წარსადგენად. ასევე სააღსრულებო ფურცლის მისაღებად.

ვის მივმართო და რა დოკუმენტები წარმოვადგინო სანოტარო დოკუმენტის დამოწმებული ასლის მისაღებად?

არქივში დაცული სანოტარო დოკუმენტის დამოწმებული ასლის მისაღებად მიმართეთ შესაბამის იუსტიციის სახლს. წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის სანოტარო დოკუმენტის დამოწმებული ასლის მიღება გსურთ. თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ : პირადობის მოწმობა, გარდაცალების მოწმობა, ნათესაური კავშირის დამდგენი დოკუმენტები (დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა...), გვარისა და სახელის შეცვლის რეგისტრაციის მოწმობა, მინდობილობა, ამონაწერი ქონების ან რეგისტრაციის შესახებ, უფლების დამდგენი სანოტარო აქტები.

ვადა	დამოწმებული ასლის გამოთხოვის საფასური	ინფორმაციის/ცნობის გაცემის საფასური
4 სამუშაო დღეში	15 ლარი	10 ლარი
განაცხადის შეტანიდან 1 სამუშაო დღეში	25 ლარი	20 ლარი
განაცხადის შეტანის დღეს	35 ლარი	30 ლარი

შესაძლებელია თუ არა დაგიბრუნონ მოსახურებითვის გადახდილი საფასური და რა შემთხვევაში?

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მომსახურებისთვის გადახდილი საფასური დაგიბრუნდებათ, თუ:

- განაცხადის შეტანამდე მოითხოვთ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას;
- საფასურს გადაიხდით წესით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში დაგიბრუნდებათ სხვაობა გადახდილ თანხასა და წესით განსაზღვრულ განაკვეთს შორის;
- გადაიხდით საფასურს მაშინ, როცა წესის შესაბამისად საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებული სუბიექტი ბრძანდებით;
- დაჩქარებული მომსახურება არ განხორციელდება თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ამ შემთხვევაში დაგიბრუნდებათ სხვაობა დაჩქარებული მომსახურებისა და დაჩქარების გარეშე მომსახურების დადგენილ საფასურებს შორის.

საფასური დაგიბრუნდებათ მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას და იგი უნდა წარადგინოთ საფასურის გადახდიდან 30 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ დაგიბრუნდებათ.